# ხაშურის მოამბე

№9 (291) 1 აპრილი, ხუთშაბათი, 2021 წელი


## ხელი მოეწერა ხაშურისა და მისი მიმდებარე დასახლებების წყალმომარაგებისა და წყალარინების რეაბილიტაციის დაფინანსების საგრანტო შეთანხმებას

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ, საფრანგეთის ელჩმა დიეგო კოლასმა და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (AFD) რეგიონული წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა რაფაელ ჟოზანმა ხელი მოაწერეს ხაშურისა და მისი მიმდებარე დასახლებების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაციის

დაფინანსების საგრანტო შეთანხმებას. ხელმოწერის ცერემონიას ესწრებოდა ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მამუკა საღარეიშვილი, ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატი ზაზა დუგლაძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ზვიად ქურდაძე და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი.

პროექტი, რომელსაც საფრანგეთის განვითარების სააგენტო, ევროკავშირი და საქართველოს მთავრობა აფინანსებს, ითვალისწინებს ხაშურისა და მისი მიმდებარე დასახლებების (ზემო და ქვემო ოსიაურის, ცხრამუხას) წყალმომარაგებისა და ხაშურის წყალარინების სისტემის სრულ რეაბილიტაციას

პროექტის ფარგლებში, აშენდება 170 კმ ახალი წყალმომარაგების ქსელი და რეაბილიტირდება და აშენდება 40 კმ წყალარინების ქსელი; აშენდება წყალმომარგების სათავე ნაგებობები, სატუმბი სადგურები, გადამცემი ხაზები და სადისტრიბუციო ქსელები, ასევე, ჩატარდება ქალაქის საკანალიზაციო ქსელის, მათ შორის კოლექტორების რეკონსტრუქციისა და გაფართოების სამუშაოები. პროექტით გათვალისწინებულია ძველი წყალარინების გამწმენდი ნაგებობის დემონტაჟი, რომლის ნაცვლად აშენდება ახალი ნაგებობა

ხელშკრულება სამშენებლო სამუშაოებზე, სავარაუდოდ, 2021 წლის ბოლოს გაფორმდება და სამუშაოები 5 წელიწადში ეტაპობრივად დასრულდება. შედეგად, ქალაქ ხაშურსა და მიმდებარე

დასახლებებში მცხოვრები დაახლოებით 44 000 ადამიანი ისარგებლებს უწყვეტი, ხარისხიანი წყალმომარაგებითა და წყალარინების გამართული სისტემით.

პროექტის საორიენტაციო ღირებულება 63 მილიონი ევროა, რომელიც მოიცავს საფრანგეთის განვითარების სააგენტოს 58 მილიონ ევროს დაფინანსებას, ევროკავშირის გრანტს 7,150,000 ევროს ოდენობით და სახელმწიფო დაფინანსებას დაახლოებით 11 მილიონი ევროს ეკვივალენტი ლარის ოდენობით.

“დღეს ხაშურისთვის ისტორიული დღეა, პრაქტიკულად, საფუძველი ეყრება იმ უმნიშვნელოვანესი პროექტის განხორციელებას, რასაც ჰქვია ხაშურის 24 საათიანი წყალმომარაგება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ხაშურში, ამ მასშტაბის სამუშაოები და პროექტი, წყალმომარაგების და წყალარინების თვალსაზრისით, არ განხორციელებულა. ხაშურის მოსახლეობის 24 საათიანი წყალმომარაგების პროექტი ქვეყნისთვის ისეთივე მასშტაბურია, როგორიც გასულ წელს განხორციელდა ზუგდიდში, ქუთაისსა და ჭიათურაში და ამ პროექტის დასრულების შემდეგ, უკვე ხაშურსაც ექნება სრულად მოწესრიგებული, თანამედროვე სტანდარტის მიხედვით აშენებული და გაუმჯობესებული წყალმოარაგების და წყალარინების სისტემები” - ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ ხაშურისა და მისი მიმდებარე დასახლებების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაციის დაფინანსების საგრანტო შეთანხმების ხელმოწერისას განაცხადა.

## სამხარეო ადმინისტრაციაში ცხოველთა ინტერმუნიციპალური სააგენტოს დაფუძნების შესახებ იმსჯელეს

შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში მიუსაფარი ცხოველების ზრუნვის პოპულარიზაციისა და ინტერმუნიციპალური სააგენტოს დაფუძნების შესახებ შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მამუკა საღარეიშვილი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონის განვითარების ცენტრის წარმომადგენლები დაესწრნენ. მხარეებმა რეგიონში მიუსაფარი ცხოველებთან დაკავშირებულ გამოწვევებზე და სამოქმედო გეგმებზე ისაუბრეს. ასევე, განიხილეს სააგენტოს დაფუძნებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით გორში ცხოველთა ინტერმუნიციპალური თავშესაფარი აშენდა, რომელიც მოიცავს ადმინისტრაციულ და კარანტინის შენობებს, ვეტერინარულ კლინიკას, ლაბორატორიას, ვოლიერებსა და ყველა სხვა აუცილებელ ინფრასტრუქტურას. სამომავლოდ, თავშესაფრის ფუნქციებში შევა ცხოველის პატრონის დადგენის ან ახალი პატრონის მოძიების მიზნით, ქმედითი ღონისძიებების გატარება, ცხოველთადაცვით ორგანიზაციებთან ერთად, ცხოველებზე ზრუნვისკენ მიმართული საინფორმაციო კამპანიების წარმოება.

## „მომავლის სახლმა“ დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე აღნიშნა

21 მარტს, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე აღინიშნება. ამ დღეს, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სინდრომის შესახებ, ცნობიერების ამაღლების მიზნით, სხვადასხვა ღონისძიებები იმართება. რამდენიმე წელია, მათ რიცხვში საქართველოცაა.

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე, გაეროს გადაწყვეტილებით, 2011 წლის 10 ნოემბერს დაწესდა. თარიღი 21.03 სიმბოლური ხასიათისაა, რადგან დაუნის სინდრომი 21-ე ქრომოსომის გასამებით ვლინდება.

დაუნის სინდრომი გენეტიკური ცვლილებაა. პირველად ეს სინდრომი მე-19 საუკუნეში აღწერა ინგლისელმა ექიმმა ჯ. დაუნმა. ამ სინდრომის მქონე ბავშვები იბადებიან დამატებითი ქრომოსომით. მათ 46-ის ნაცვლად 47 ქრომოსომა (21-ე ქრომოსომის ტრისომია) აქვთ. ყოველი 1000-800 ბავშვიდან 1 დაუნის სინდრომით იბადება. არ არსებობს განსხვავება სქესის მიხედვით, იგი თანაბარი შესაძლებლობით შეიძლება აღმოაჩნდეს როგორც ბიჭს, ასევე გოგოს.

დაუნის სინდრომის მქონე ადამიანები გულკეთილები, მეგობრულები, კეთილგანწყობილები არიან. მათ გააჩნიათ განსხვავებული ემოციები, მოსწონთ მეგობრული დამოკიდებულება და სწყინთ, როდესაც უარყოფენ, აბრაზებენ ან ცუდად ექცევიან.

22 მარტს ხაშურის კეთილდღეობისა და განვითარების დღის ცენტრში, „მომავლის სახლი” აღინიშნა - დაუნის სინდრომის მქონე პირთა საერთაშორისო დღე. ბენეფიციარებმა დადგეს სპექტაკლი - ეგზიუპერის „პატარა უფლისწული”. ეს სპექტაკლი იყო მესიჯი საზოგადოებისთვის, რომ შესაძლებლობები შეუზღუდავია.

„მომავლის სახლი” დალოცა სურამისა და ხაშურისა ეპარქიის წინამძღვარმა მეუფე სვიმეონმა.

## დასუფთავების აქცია მერიის ორგანიზებით

22 მარტს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ორგანიზებით, დასუფთავების აქცია მოეწყო.

დასუფთავდა რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია.

მსოფლიო პანდემიის გათვალისწინებით, წლევანდელი კამპანია მცირე ჯგუფების მონაწილეობით ჩატარდა.

მსგავსი ხასიათის აქციებში, მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ჩართულობა, ხელს უწყობს მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლებას და გარემოსდაცვითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია მოუწოდებს მოსახლეობას, გაუფრთხილდნენ გარემოს, რაც საკუთარი და მომავალი თაობების ჯანმრთელობის საწინდარია!!!

სენსაცია

# გიორგი ჭყონდიდელის საფლავი წაღვლში?

სულ რაღაც ორი კვირა და შესაძლოა, უდიდესი სენსაციის მოწმენი გავხდეთ. თუმცა, მოდით მივყვეთ დაწვრილებით და ვრცლად მიმოვიხილოთ ეს, მართლაც საოცარი ფაქტი. ჩვენს მკითხველს და რაიონის მოსახლეობას კარგად მოეხსენება,რომ წაღვლის მიდამოებში, ე.წ. ნაცარგორის გორაზე, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაიწყო არქეოლოგიური გათხრები, რომლის დროსაც უამრავი და მართლაც უძვირფასესი არტეფაქტები იქნა აღმოჩენილი. მხოლოდ იმ ფაქტის აღნიშვნა რად ღირს, რომ ამ ექსპონატების გამოფენა გერმანიაში, ქალაქ ბოხუმში ლამის წლის მოვლენად აღიარეს გერმანელებმა. და აი, მორიგი საოცარი აღმოჩენა, რომელიც სრულიად შეთხვევით გამოვლინდა. წაღვლის ჩრდილოეთ მონაკვეთში,რომელზეც საძოვარია მიბმული, ყველამ იცოდა ქვის ნანგრევების შესახებ, რომელიც ყურადღებას არაფრით იპყრობდა. მარტის დასაწყისში, წაღვლელმა

შოთა კევლიშვილმა შემთხვევით შეამჩნია,რომ ნანგრევები მკვეთრად დაბლა იყო ჩაწეული და მონოლითური ქვების წყობა გამოჩნდა. რა თქმა უნდა, ფაქტი ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვისაც გახდა ცნობილი. აქედან უკვე თბილისის სახელმწიფო მუზეუმს ეცნობა და სპეციალისტებიც ორიოდ დღეში,ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის გიორგი ავალიანის ხელმძღვანელობით წაღვლს ესტუმრნენ.

გიორგი ავალიანი: პირველივე დათვალიერებისას უკვე აშკარა გახდა, რომ ძვირფას სამაროვანთან გვქონდა საქმე. სამაროვანი აქ უფრო პირობითი ცნებაა, რადგან დადასტურებულად შეგვიძლია თქმა, რომ ეს აკლდამაა. საერთოდ, აკლდამის ტიპის სამარხები, საქრთველოსთვის იშვიათი მოვლენაა და ფაქტია, რომ რაღაც განსაკუთრებულთან გვაქვს საქმე. ჩვენ მიწისაგან გავათავისუფლეთ კედლები და გამოჩნდა მცირე კარი, რომელსაც სამეფო ბეჭედი აზის. დადასტურებულად შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის დავით აღმაშენებლის დროინდელი სამეფო ბეჭედი. ამის შეცდომა გამორიცხულია, რადგან დავით მეოთხის შემდეგ ამ ბეჭდის ანფასი სრულიად შეიცვალა და თამარის ეპოქაში აბსოლუტურად სხვა სახის სამეფო ბეჭედი იყო მოქმედებაში. დავით აღმაშენებლის გამოჩენა

წაღვლში, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ არის მოულოდნელობა, რადგან ცნობილი ფაქტია, რომ დავითი დიდ დროს ატარებდა აქ. ეს კი არა, ისიც ცნობილია, რომ წაღვლის მიდამოებს მსხვილ ბელტებად ახვნევინებდა და თავის ცნობილ ცხენოსან კავალერიას აქ ამზადებდა საბრძოლველად.

ჩვენ სასწრაფოდ მოვახდინეთ აკლდამის კონსერვაცია, რადგან ამ ტიპის სამარხების გახსნის გამოცდილება საქართველოში არ გვაქვს. „ქართუ ჯგუფის“ დახმარებით,იტალიიდან,რომის უნივერსიტეტიდან, მოვიწვიეთ ცნობილი არქეოლოგი, პროფესორი პიეტრო როალი, რომელიც 15 აპრილს საქართველოში იქნება სამ ასისტენტთან ერთად და მათთან ერთად მოხდება აკლდამის გახსნა. წინასწარი პროგნოზები კი ასეთია: მოგეხსენებათ, დავით აღმაშენებლის დროინდელი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე გიორგი ჭყონდიდელი უშუალოდ მონაწილეობდა ყივჩაღების საქართველოში ჩამოსახლების საქმეში. ამ მისიით იგი კავკასიის ჩრდილოეთს სტუმრობდა და სწორედ იქ გარდაიცვალა. სამწუხაროდ, მისი საფლავი დღემდე არაა ცნობილი. თუმცა 1976 წელს, პროფესორმა ელგუჯა კოპაძემ ვლდიკავკაზის სახელმწიფო მუზეუმში მიაკვლია უძველეს ჩანაწერებს, სადაც აღნიშნულია, რომ დიდი მეფის - დავითის წარგზავნილი გარდაიცვალა ქალაქ ბალაჩში (დღევანდელი ვლადიკავკაზი) და იგი დიდი პატივით გადაასვენეს საქართველოში და დაკრძალეს ცაგვლში (წაღვლის ძველი სახელი). დღემდე, არავითარი მტკიცებულება არ არსებობდა, რომ გიორგი მწიგნობართუხუცესი წაღვლში დაკრძალეს და აი, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქოთ, რომ ეს აკლდამა მისი განსასვენებელია... თუმცა,ნუ გავუსწრებთ მოვლენებს და დავუცადოთ აკლდამის გახსნას.

ახლა კი მეორე, არცთუ უმნიშვნელო აღმოჩენა. ზემოაღნიშნული აკლდამის მიმდებარედ, დაახლოებით ხუთიოდ მეტრში, გამოჩნდა სამაროვანი,რომლის დამუშავება უკვე მოხდა. მეცნიერთა გასაკვირად, სამაროვანი სრულიად განსხვავებული ტიპის იყო და აბსოლუტურად არ ჯდებოდა „კლასიკური“ ქართული სამაროვნების რიგში. სრული დამუშავების შემდეგ კი სამარხში მიაკვლიეს,არც მეტი არც ნაკლები, ვიკინგების იარაღებს - ორ საბრძოლო ნაჯახს და ხმალს. აქვე იყო მუზარადის ნარჩენები და მაჯის დასაცავი რკინის ორი საფარი. ძალიან საინტერესო აღმოჩენაა, რომელსაც შეუძლია დავითის ეპოქის ისტორიის მკვეთრი შეცვლა. ზემოთაც აღვნიშნეთ და ყველასათვის ცნობილია, რომ დავითმა ყივჩაღების 40 ათასი ოჯახი ჩამოასახლა საქარ-თველოში, მაგრამ არცერთ ისტორიულ წყაროში არ მოიპოვება რაიმე ცნობა, რომ დავითს ვიკინგებიც (იგივე ვარიაგები,იგივე ნორმანები) უდგნენ გვერდში. დღეს ეს ექსპონატები შესწავლის პროცესშია, თუმცა ნორვეგიელ მეცნიერებს გაეგზავნათ ვიზუალური მასალა და მათაც დაადასტურეს რომ ეს იარაღები ნამდვილად ვიკინგებს ეკუთვნოდათ. სულ სხვა თემაა, მაგრამ ღირს აღნიშვნა. დღეს მთელი ძალით ცდილობს ჩვენი ქვეყანა, რომ ევროპის სრულფასოვანი წევრები გავხდეთ და ალბათ 2024 წლისთვის ეს რეალობათაც იქცევა. არადა, ევროპასთან დაახლოება აგერ,ჯერ კიდევ მე - 12 საუკუნეში იწყება და ისიც საკითხავია,მაშინ ჩვენ ვცდილობდით მათთან კავშირების გაბმას თუ ისინი აქეთ გვეხვეწებოდნენ. ჩვენ, აშკარად, პირიქით გვგონია, რადგან დავითის სახელი მაშინდელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი დიდგორის შემდეგ, პირდაპირ ქუხდა და არა გვგონია იქით გვქონდა სახვეწი.

მოკლედ, წინ დიდი აღმოჩენა გველის. თუ წაღვლის აკლდამა მართლაც გიორგი ჭყონდიდელის განსასვენებელია, საოცარი არტეფაქტები შეიძლება გამოავლინდეს. რაც მთავარია, მეცნიერები ფიქრობენ, რომ აქ დიდი რაოდენობით იქნება ხელნაწერები და თუ ესეც დადასტურდა, გამორიცხული არაა, რომ მრავალი ისტორიული მოვლენის თავად დაწერა გახდეს საჭირო.

„ხაშურის მოამბის“ ჟურნალისტები, რა თქმა უნდა. 15 აპრილს დაესწრებიან აკლდამის გახსნას და ჩვენს მკითხველს დეტალურ ინფორმაციას მივაწვდით.

გ. გოგოლაძე

# ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ.#1,2,3,4,5,6,7,8)

ხაშურის კოშკი. მდებარეობს ქალაქის ცენტრში, იაონე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის სიახლოვეს. თარიღდება XVIII საუკუნით. კოშკი ჯერ XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს /1959/, ხოლო შემდეგ 70-80 წლების მიჯნაზე იქნა რესტავრირებული.

იოანე ბაგრატიონი „კალმასობაში“, როდესაც აღწერს იოანე ხელაშვილის ზემოჭალელ თავადის ლევან აბაშიძის სასახლიდან გამოპარვის ამბავს, აღნიშნავს, რომ განთიადისას მან „...იხილა შორით კოშკი მაღალი ხაშურისა“.

კოშკი თავად ხიდირბეგიშვილებს ეკუთვნოდათ.

კოშკი ოთხსართულიანია. ცილინდრული ფორმისაა /დიამეტრი 9 მ./ ნაგებია რიყის ქვით. შესასვლელი სამხრეთითაა, მიწიდან 3 მეტრის სიმაღლეზე. კარი თაღოვანია, მისი საპირები ქვიშაქვისაა. სართულები ერთმანეთს კედელში დატანებული კიბით უკავშირდება. პირველ სართულს ნიშები და 6 სათოფური აქვს. მეორე სართულზე 6 ნიშია, თითოეულში ორ-ორი სათოფური, ჩრდილოეთით ბუხარი და ორი სარკმელია. მესამე სართულზე 8 ნიშია, თითოეულში ორ-ორი სათოფური. სამხრეთით და ჩრდილოეთით ბუხრებია. მეოთხე სართულზე სათოფურები და ოთხი ნისკარტა სალოდეა.

აქ, აივნებზე, გასასვლელი სამი კარია – აღმოსავლეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით, შემორჩენილია აივნების ძელების ბუდეები. კოშკის ფასადზე, შესასვლელის თავზე აგურის წყობაში ცისფერი მოჭიქული ქვებით გამოყვანილია ჩაღრმავებული ჯვარი.

კოშკს, როგორც თავდაცვითი, ასევე საცხოვრებელი დანიშნულება ჰქონდა.

წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია. მდებარეობდა რკინიგზის კულტურის სასახლის მოპირდაპირე მხარეს. იგი რკინიზგის ეკლესიის სახელითაა ცნობილი. ეკლესია 1897წელს გაუხსნიათ და თავდაპირველად დროებით მოთავსებული ყოფილა საერთო საცხოვრებლებში.

1898 წელს, აუგიათ ეკლესიის შენობა, ამავე წლის 3 ოქტომბერს, საღამოს, საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე ჩამოვიდა ხაშურში და 4 ოქტომბერს, დილის 8 საათიდან, დაიწყო ხაშურის რკინიგზის ეკლესიის კურთხევა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო „...არა თუ ახლო-მახლო სოფლებიდამ, არამედ შორი სოფლებიდამაც ურიცხვი (ხალხი) მოაწყდა, მიუხედავად იმისა, რომ წვიმიანი ამინდი იყო და მასთან საშინელი ტალახები, ასე გაიმსო ეკლესია და ეზო ხალხით, რომ სრულებით ტევა აღარ იყო” – წერდა გაზეთი „ცნობის ფურცელი”.

1898 წელს იგივე გაზეთის ერთი კორესპონდენციის მიხედვით „...ხაშურის რკინიგზის ეკლესია შეაკეთეს და თან აკურთხეს”.

ჩვენ დრომდე ეკლესიამ ძლიერ შეცვლილი სახით მოაღწია. გადააკეთეს და გამოიყენებოდა სხვა დანიშნულებით. ბოლოს აქ საწყობი იყო განთავსებული.

შინდარის წმინდა გიორგის ეკლესია. ბერძნების ეკლესიასაც ეძახიან. მდებარეობს ხაშურის ჩრდილო-დასავლეთით, შინდარის უბანში. მის ირგვლივ ძველი სასაფლაოა.

ეკლესია დარბაზული ტიპისაა /8,3 X 4,5/, ნაგებია მოწითალო ქვიშა-ქვით. დანგრეულია, შემორჩენილია მხოლოდ 2,5 მ. სიმაღლის ჩრდილოეთის კედელი. 1970 წელს მოსახლეობამ ჩრდილოეთის კედლის საპირე წყობის ნაწილი აღადგინა, დასავლეთით პემზაბეტონის კედელი ამოიყვანა და დარბაზის დასავლეთი ნაწილი თუნუქის ბრტყელი სახურავით გადახურა. ეკლესიას შესასვლელი სამხრეთით ჰქონია.

აღმოსავლეთით სწორკუთხედში ჩაწერილი ნახევარწრიული საკურთხეველია. დარბაზის ჩრდილოეთ კედელზე შემორჩენილია ორი ორსაფეხურიანი პილასტრი, ერთი – კედლის აღმოსავლეთ ნაწილში, მეორე – დასავლეთ კედლის კუთხესთან. ჩრდილოეთის კედელზე სარკმლის კვალიც ჩანს.

2012 წელს, არსებული აკლესიის ადგილზე, ააშენეს ახალი ტაძარი, რომლის მშენებლობაც დღემდე მიმდინარეობს.

ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა, გეგმაში სწორკუთხა /24.6X13.8/ მისი აღმოსავლეთის აფსიდი ექსერიერში არ იკითხება. აგებულია ბეტონით და მოპირკეთებულია თეთრი თლილი ქვით. ეკლესიის გეგმა წარმოადგენს ოდნავ წაგრძელებულ სწორკუთხედს, რომლის შიგნით, ბურჯების სამი წყვილით, დაყოფილია სამ ნაწილად. შუა ნავი განაპირა ნავებზე ბევრად განიერია და აღმოსავლეთით მთავრდება ნახევარწრიული აფსიდით. აფსიდში სამი სარკმელი ანათებს. ცენტრში შედარებით დიდი ზომის სარკმელია გაჭრილი და მის გვერდებზე კიდევ ორი სარკმელია სიმეტრიულად, რომლებიც აღმოსავლეთის ფასადის ნიშებშია გაჭრილი. აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია დეკორატიული ქვის კანკელით, საკურთხევლის ტრაპეზი ზუსტად იმავე სტილითაა გაკეთებული.

აბსიდის გვერდებზე სადიაკვნე და სამკვეთლოა, მათში, აღმოსავლეთით, თითო სარკმელია გაჭრილი. ორივე სათავსი სწორკუთხა თაღით დაბოლოებული კარით უკავშირდება გვერდითა ნავებს.

ნავები ერთმანეთისგან გამოყოფილია სამი წყვილი ოთხკუთხა ბურჯით და მათზე გადასული თაღებით. ბურჯებს მარტივი კაპიტელები აქვთ. შუა ნავში, თაღების თავზე, ცენტრში, ოთხ-ოთხ სარკმელია გაჭრილი სიმეტრიულად და დამატებით, დასავლეთიდან, ერთი სარკმელი ანათებს სივრცეს.

სამივე ნავის კამარა ნახევარწრიულია, კამარები ოთხ წყვილ საბჯენ თაღზეა დაყრდნობილი, შუა ნავი ბევრად მაღალია გვერდითა ნავებზე, რომლებშიც ჩრდილოეთითა და სამხრეთით წყვილი სარკმელია გაჭრილი. ეკლესია კარგად ნათდება.

ეკლესიას აქვს ორი შესასვლელი-სამხრეთით და დასავლეთით. დასავლეთით ერთი თაღით გახსნილი კარიბჭეა მოწყობილი, საიდანაც ხდება შესვლა ტაძარში. მოჩუქურთმებული ხის კარის თავზე... წმინდა გიორგის რელიეფური გამოსახულებით.

სამხრეთის ფასადის დასავლეთ ნაწილში გაჭრილია შედარებით მცირე ზომის კარი, რომელიც ლილვითაა მოჩარჩოებული.

ჩრდილოეთის ფასადზე ლილვით მოჩარჩოებული წყვილი თაღოვანი სარკმელია.

ტაძარში ყურადღებას მხოლოდ აღმოსავლეთის ფასადი იქცევს, რომელზეც მოთავსებულია ორი სამკუთხა ღრმა ნიშა, რაც დამახასიათებელია ქართული ხუროთმოძღვრებისათვის. სამი სარკმლიდან შუა, დიდი სარკმელი, ფასადის სიმეტრიის ღერძეა გაჭრილი, ხოლო გვერდითა სარკმელები შუა სარკმლის ორივე მხარეს არსებულ სამკუთხა ნიშები გამოდის. ამავე ფასადზე გამოდის სამკვეთლოსა და სადიაკვნეს ლილვებით მოჩარჩოებული მცირე ზომის ნახევარწრიულთაღებიანი სარკმელები.

ცენტრალური სარკმლის თავზე მოთავსებულია მოზრდილი რელიეფური ჯვარი.

შინდარის ეკლესიის ფასადები, შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არაა გაფორმებული. ის სადაა, თითქოს ყოველგვარი დეკორის გარეშე. ტაძრის მშენებლობა დღემდე მიმდინარეობს. დიდი ზომის ბაზილიკა მრავალრიცხოვან მრევლზეა გათვლილი. ეკლესია კომპოზიციურად მჭიდროს დასახლებულ უბანშია განთავსებული, რაც ხელს უშლის მის მთლიან აღქმას.

ეკლესია, შუაში ორფერდა, ხოლო გვერდები ერთფერდა სახურავითაა გადახურული. გადახურვა თუნუქისაა, რომელიც კრამიტის იმიტაციას ქმნის.

შინდარის ეკლესია ანალოგია სურამის იტრიის ეკლესიისა, მხოლოდ მაშტაბი და პროპორციაა შეცვლილი, სხვა ზუსტად იმეორებს მის ფორმებსა და პრინციპებს.

პროპორციის დარღვევამ, რომელსაც ვხვდებით შინდარაში, სადაც შუა ნავი განაპირა ნევებზე შედარებით განიერია, ამასთან, აღნიშნული ნავები დადაბლებულიცაა, გამოიწვია აღმოსავლეთის ფასადის სამკუთხა ნიშების დამოკლება. ასეთმა ცვლილებებმა შინდარის ეკლესია სიგანეში გაზარდა. თუ იტრიისათვის დამახასიათებელია ვერტიკალური მიმართულება, სიმაღლე, სიმსუბუქე, როდესაც ტაძრი თითქოს ზეცისკენ მიემართება, ზუსტი პროპორცია, რომელიც გამოხატავს ქართული ხუროთმოძღვრების გენეტიკურ მეხსიერებას, შინდარაში ვხედავთ საპირისპიროს. განივი მიმართულება ეკლესიას ამძიმებს, კორპუსს ტლანქს და მოუქნელს ხდის. იკარგება მთავარი ვერტიკალური ღერძი. ის კი, ვიზუალურ-სივრცითი აღქმის დროს, მას შედარებით დაბალს და მასიურს წარმოაჩენს.

წმინდა ბარბარეს ეკლესია. დებარეობს ვაჟა-ფშაველასა და ნოდარ დუმბაძის (ყოფილი ოქტომბრის) ქუჩების გადაკვეთაზე. მისი მშენებლობა დაიწყო XX ს-ის 90-იანი წლების ბოლოს და დასრულდა XXI ს-ის დასაწყისში. თავდაპირველად ააშენეს ეკლესიის ძირითადი ნაწილი, ხოლო შემდეგ დასავლეთის მხრიდან მიაშენეს კარიბჭე.

ნაგებობა სწორკუთხა ფორმის დარბაზული ტიპისაა (12,75X7,9) აღმოსავლეთის ნახევარწრიული აფსიდით. აფსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მხრებით. მის ცენტრში გაჭრილია სარკმელი, რომლის თაღი შიგნიდან სწორკუთხაა, ხოლო გარედან ნახევარწრიული. საკურთხეველში, ჩრდილოეთის მხარეს, კედელში, დიდი თახჩაა მოთავსებული, ხოლო სამხრეთის მხარეს მოთავსებული თახჩა იატაკამდეა.

ეკლესიას ორი კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, ორივე სწორკუთხა საღებითაა, მხოლოდ კუთხეში ოდნავ მომრგვალებულია.

კარიბჭე (3.5X4), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გვიანდელია. აქაც გადახურვა ნახევარწრიულია. მისი შესასვლელიც სწორკუთხა თაღიანია. შესასვლელის თავზე გაჭრილია ნახევარწრიულ თაღიანი სარკმელი.

დარბაზის შიდა კედლები სადაა. მასზე დაყრდნობილია ნახევარწრიულ თაღიანი გადახურვა. დარბაზი ნათდება სამხრეთის კედელში გაჭრილში ორი და დასავლეთის კედელში გაჭრილი ერთი სარკმელით. სარკმლები შიგნიდან სწორკუთხაა, ხოლო გარედან ნახევარწრიული თაღებითაა.

იატაკი მოზაიკის ფილებითაა მოპირკეთებული. საკურთხევლის ამბიონი ოდნავ ამაღლებულია.

ნაგებია ტუფის ქვით. ამჟამად მმდინარეობს გარე ფასადის მოპირკეთება ნიჩბისის ქვით. კედლები სადაა. ეკლესია ერთ საფეხურიან სოკოლზე დგას. სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებს ორსაფეხურიანი კარნიზი შემოუყვება. კარიბჭეს შემოუყვება ოდნავ შეზნექილი კარნიზი.

ეკლესიას აკრავს ტუფის ქვის გალავანი. გალავნის დასავლეთით კედელში მოთავსებულია მცირე ზომის ერთ სართულანი სამრეკლო, რომელსაც თავზე ადგას რვაწახნაგიანი ფანჩატური კონუსისებური გადახურვით. ფანჩატურის თაღები ნახევარწრიულია.

წმინდა ბარბარეს ეკლესია, მსგავსად წმინდა ილია წინასწარმეტყველის ეკლესიისა, ყურადღებას იპყრობს სიმაღლით.

წმინდა ილია წინასწარმეტყველის ეკლესია. მდებარეობს ე.წ. ზემო სერის სასაფლაოს აღმოსავლეთ ნაწილში. მისი მშენებლობა დაიწყო XX ს-ის 90-იანი წლების

დასაწყისში, საზოგადოება „ბეთანიამ“ და დასრულდა XXI ს-ის დასაწყისში. ამჟამად მიმდინარეობს ეკლესიის კეთილმოწყობის სამუშაოები.

ეკლესია გეგმით ერთნავიანი ნაგებობაა (10X6,60). იგი აღმოსავლეთით მთავრდება ნახევარწრიული აბსიდით, რომელიც ექტერიერში არ იკითხება. ფასადები მარტივი და სადაა, მორთულობის გარეშე, მხოლოდ დეკორატიული თაღებია გამოყენებული მის დამუშავებაში. ეკლესიას აღმოსავლეთის ფასადზე აქვს ორი დეკორატიული ნიშა, გეგმაში სამკუთხა, რომელიც სწორკუთხა თაღით ბოლოვდება. მსგავსი ნიშებია სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადებზეც. კომპოზიციურად ეს ნიშები კუთხეებთან ახლოსაა განლაგებული, რაც ერთგვარ მხატვრულ ელფერს სძენს ტაძრის ასკეტურ სილუეტს.

დასავლეთის ფასადზე თანაბარი სიმაღლის სამი დეკორატიული თაღია, განაპირა თაღები ერთი ზომისაა, შუა კი შედარებით განიერია, რომელშიც კარია გაჭრილი. შუა თაღში, კარს ზემოთ, ცენტრში, ბარელიეფია მოთავსებული. სამხრეთის ფასადზეც დეკორატიული თაღებია, აქაც სამი. ორი ერთმანეთის, გვერდიგვერდ, თანაბარი ზომისაა, ხოლო მესამე განსხვავებულია, შედაებით მოზრდილი ზომისაა, რომელშიც გაჭრილია შესასვლელი. ჩრდილოეთის ფასადზე, ზუსტად მეორდება სამხრეთის ფასადის დამუშავება იმ განსხვავებით, რომ იქ შესასვლელი არ არის აქ თაღები ერთი ზომისაა.

დეკორატიულ თაღებში, როგორც სამხრეთით, ასევე ჩრდილოეთით გაჭრილია სამ-სამი სარკმელი. სარკმელები ყველგან ნახევარწრიული თაღებითაა, მოჩუქურთმებული საპირებით, რომლებიც იმეორებენ ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. სამხრეთის ფასადზე, მოზრდილი თაღის შუაში, მოთავსებულია სვეტი, რომელიც ბოლოვდება სამსაფეხურიანი ბალიშით. რომელზეც „ზის” სარკმელი.

სამხრეთის ფასადზე მიშენებულია მცირე ზომის კარიბჭე, რომელიც სამივე მხრიდან გახსნილია. თაღები ნახევარწრიულია. სამხრეთის ფასადზე, თაღის ზემოთ, მოთავსებულია ბარელიეფი, კარიბჭეს სამ საფეხურიანი კარნიზი შემოუყვება, შუა ნაწილი შეზნექილია.

აღმოსავლეთის ფასადზე ცენტრში ერთი, ნახევარწრიულთაღიანი სარკმელია გაჭრილი. მის თავზე, ნიშების დონეზე, გამოსახულია ჯვრის ბარელიეფი. ეკლესიის შიდა კედლები სადაა, მხოლოდ საკურთხეველია მოხატული. ინტერიერი კარგად ნათდება.

გადახურულია ორფერდა სახურავით. ეკლესიას შემოუყვება კარნიზი, რომლის შუა ნაწილი შეზნექილია.

ეკლესია დგას ერთ საფეხურიან მაღალ სოკოლზე. ეკლესია ნაგებია საამშენებლო ბლოკით, კედლები მოპირკეთებულია მოყავისფრო ფილებით. გამოირჩევა სიმაღლით (10,5მ).

სამხრეთით, ეკლესიის სიახლოვეს, აგებულია სამრეკლო, რომელსაც თავზე ადგას ექვსთაღიანი ფანჩატური. თაღები გახსნილია. სამი თაღი მაღალია, სამი დაბალი. ეკლესიას უვლის გალავანი.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

80 ---------- 80

# ეთერ ახვლედიანი - ქალბატონი ნათელი კვალით

ეთერ ახვლედიანი - 80

სამი ათეული წელი გავიდა ეთერ ახვლედიანის გარდაცვალებიდან. ეს საკმაოდ დიდი დროა, ცოტანი შემორჩნენ მის თანამედროვეთაგან. ბევრი რამ გადაიფასა ცხოვრებამ. ფორმატიც შეიცვალა, ჟამმა გაიყოლა... მაგრამ სილამაზეს, გონიერებას, კეთილშობილებას ყავლი არ გასვლია, თორემ ქალბატონი ეთერი რომელ "სავარჯელში" იჯდა, მნიშვნელობა აღარ აქვს...

**"ვისაც თავის დროში სამაგალითოდ უცხოვრია, ის ყველა დროში ცოცხლობს!"**

2019 წელს გამოცემული წიგნიდან "ეთერ ახვლედიანი – ქალი, რომელიც ამშვენებდა ხაშურს", რამდენიმე მოგონებასთან ერთად, ვბეჭდავთ ამონარიდებს მეგობრების წერილებიდან.

**დაუვიწყარი ქალბატონი**

ეთერ ახვლედიანი გავიცანი 90-იან წლებში, როდესაც მუშაობდა შუშის ქარხანაში ინჟინრად.

ახალგაზრდა სპეციალისტი გამოირჩეოდა საქმის ღრმა ცოდნითა და საზოგადოებრივი აქტივობით. ამიტომ სრულიად ლოგიკური იყო მისი რაიონის ერთ-ერთ ხელმძღვანელად დაწინაურება.

ჩვენ, რაიონის ხელმძღვანელების რანგში, სხვა კოლეგებთან ერთად, მოგვიწია მუშაობა 80-იან წლებში, მისი ყოველდღიური საქმიანობა მიმდინარეობდა ჩემს თვალწინ, ეთერი, მისთვის დამახასიათებელი აქტივობითა და ენერგიით, უშუალოდ მონაწილეობდა რაიონის სოციალური და იდეოლოგიურ-აღმზრდელობითი პრობლემების მოგვარებაში, მაღალი პასუხისმგებლობით, გულისხმიერი და მიზანმიმართული მოღვაწეობით, კეთილსინდისიერებით, პრინციპული და თვითკრიტიკული დამოკიდებულებით, თანამშრომლებისა და თითოეული მოქალაქისადმი გულისხმიერი და გულთბილი მიდგომით იმსახურებდა ყველას ყურადღებასა და სითბოს.

ძალიან დავღონდი და გული დამწყდა, როდესაც გავიგე, რომ ეთერი დაავადდა უკურნებელი სენით, სრულიად ახალგაზრდამ დატოვა ოჯახი და გარდაიცვალა. ლეჩხუმელმა და ახალციხეში გაზრდილმა ქალბატონმა განსასვენებელი ჰპოვა ხაშურის რაიონში, რომელსაც თავისი შეგნებული ცხოვრებით, რუდუნებითა და ალალად ემსახურა, ჩვენდა სამწუხაროდ, განგებამ ასე ინება...

ეთერ ახვლედიანს ჯერ კიდევ შეეძლო ბევრი კარგი საქმის გაკეთება თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში.

პატივს მივაგებ ეთერ ახვლედიანის ნათელ ხსოვნას, ხოლო ოჯახს, შვილებსა და შვილიშვილებს, მეუღლეს – ომარ ღონდაძეს ჯანმრთელობას და წარმატებებს ვუსურვებ!

ღრმა პატივისცემით – **როლანდ მულაძე**

**ნაადრევად დატოვა ეს საწუთრო**

ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ, ბუნებრივია, ეთერ ახვლედიანიც ბავშვობიდან მოდიოდა... ცაგერი იყო მისი ადგილის დედა... არაჩვეულებრივი მშობლების არაჩვეულებრივი შვილი... ახალციხის საშუალო სკოლის ოქროსმედალოსანი ახალგაზრდა, საუკეთესო სტუდენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა... გამორჩეული ოჯახის გამორჩეული რძალი, მეუღლე კეთილშობილი ვაჟკაცისა... შვილები- - მშობლებივით ლამაზები და ნიჭიერები... რძალი, კერია რომ მოითხოვს, ისეთი... მშვენიერი, კეთილშობილი, მწერალი, ხელოვანი (ხატავს, ქსოვს კერავს...) მრავალშვილიანი დედა... ქალბატონი ეთერის პიროვნული თვისებებისა თუ ღვაწლის წარმოსაჩენად წიგნიც შეადგინა და გამოსცა.

თვალს ახარებენ ბატონი ომარისა და ქალბატონი ეთერის შვილები და შვილთაშვილები... (აფსუს, მათი ბებია რომ ვერ ხედავს...)

ხაშურს ყოველთვის ჰყავდა საუკეთესო ინტელიგენცია, მათ შორის ქალბატონი ეთერი გამორჩეული გახლდათ...

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებია, კონსულტანტად ვმუშაობ პარტიის რაიკომში. შეხვედრა გვაქვს გამოჩენილ კინო-რეჟისორ თენგიზ აბულაძესთან, (ახალი გამოსული იყო ფილმი "მონანიება"). დამევალა სიტყვით გამოსვლა. ტექსტი მოვამზადე და ქალბატონ ეთერს წავუკითხე და ჩემდა გასაკვირად, კინო-ხელოვნების საკითხებში საოცარი ცოდნა გამოამჟღავნა...

საწუთრომ ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ამჟამადაც ბევრი რჩეული გამოაკლდა ჩვენს თაობას... ადრეულ წლებში ასე არ იყო...

მოულოდნელი იყო ქალბატონ ეთერის გასვლა ამქვეყნიდან... ბევრი ალალი ცრემლი გაიყოლა თან... დღემდე გვახსოვს და გვენანება, რომ მისი სული ნაადრევად შეუერთდა ცის უსაზღვროებას... **მაყვალა ხაჩიძე**

***

საოცარია განგება ღვთისა! ეთერის აპრილის თვემ ყველა თავისი სიკეთე დაანათლა. იგი აპრილივით ჩახჩახა, თბილი და კეთილი, სახემშვენიერი იყო, მისი ხასიათი და ოპტიმიზმი გადამდები. უმალ თავის დიდებულ აურაში გაქცევდა...

იგი აქტიური, დაკვირვებული და დაუცხრომელი პიროვნება იყო. ყველა მისი აღმასვლა დამსახურებული გახლდა... თავისი თაობის ლიდერი იყო...

**ზურაბ ცუცქირიძე**

***

ქალბატონი ეთერი ის ადამიანია, რომელმაც ნათელი კვალი დატოვა ჩემში.

შესაშური გახლდათ მისი პასუხისმგებლობა, საქმისადმი უანგარო, კეთილსინდისიერი დამოკიდებულება...

დასაყრდენი ადამიანი გახლდათ, კრიტიკულ მომენტში არ გიღალატებდათ, შეცდომაში არ შეგიყვანდათ... **ლევან დათიაშვილი**

***

დიდია ეთერ ახვლედიანის როლი რაიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში – ქალთა როლის ამაღლების საქმეში. **ელზა მენაბდე**

ეთერ ახვლედიანი- ბუნებით ნაზი და კდემამოსილი, გამორჩეული ლიდერი, კარგი ხელმძღვანელი და მეგობარი იყო. **ინეზა (ზიზი) ელისაშვილი**

***

ეთერი წარმატებული ქალი იყო,.. მის სამსახურს დიდი ენერგია სჭირდებოდა, მაგრამ ის ყოველთვის ახერხებდა ყოფილიყო ოჯახის ქალი... **ქეთევან აბაშიძე**

***

კარგი ოჯახიდან გამოსული ქალი ყოველთვის დიდი პატივით სარგებლობს, ქმნის კარგ ოჯახს და ზრდის კარგ შვილებს საზოგადოებისა და ერისათვის.

მისი ნიჭი, უნარი კეთილი საქმეა – ღვთის მადლია.

შენ იყავი ერის, ბერის და ბევრი ოჯახის მრჩეველი და გულშემატკივარი...

**ნათელა თომაძე**

***

მახსოვს მისი შინაგანი სისადავე და უბრალოება, რასაც ბევრი მისი კოლეგა მოკლებული იყო...

ყველას ქომაგი და შემწე, გამორჩეული პიროვნება, რომელიც თანაბარი შემართებითა და თავდადებით უძღვებოდა რაიონსაც და ოჯახსაც. **ეკა ბაჭრაძე**

***

ეთერ ახვლედიანი მუდამ იქნება ჩემს ხსოვნაში, ერთი სულგრძელი, კეთილი, ქართველი ქალის სახე. **ვიტალი ტალახაძე**

***

... ერთხელ მისმა მამის ოჯახმა ახალციხეში უმასპინძლა ხაშურის დელეგაციას... ბეგლარ ახვლედიანის ოჯახი წარმოადგენდა ბრწყინვალე ქართველი ინტელიგენციის ოჯახს. ასეთ ოჯახში აღზრდილი ეთერი სრულიად გამორჩეული გახლდათ ჩვენს გარემოცვაში... **თამაზ ქიმერიძე**

***

ეთერი, როგორც ხელმძღვანელი, იყო ძალიან სამართლიანი და მომთხოვნი. ის რომ დღეს ცოცხალი ყოფილიყო, რაიონისთვის და მთელი საქართველოსთვის ძალიან კარგი იქნებოდა... **ეთერ ლომიძე**

***

ქალბატონ ეთერს მისი თანამედროვენი მოიხსენიებენ, როგორც ერთ-ერთ მოაზროვნე ქალბატონს.

ასეთად გავიცანი იგი. მაოცებდა მისი ერუდიცია... პრინციპულობა, კეთილგონიერება.

**ნიკოლოზ ვაშაკიძე**

***

... ეთერ ახვლედიანის კომპეტენტურობის გამო ვზეიმობდით ოლიმპიადების დასკვნით კონცერტებს.

... ყველა მიდის ამ ცხოვრებიდან, მაგრამ ყველას თაყვანით და მონატრებით არ იხსენიებენ... **ნანი გაჩეჩილაძე**

***

იგი იყო ერთდროულად ძლიერი, ვაჟკაცური სულისა და უაღრესად ფაქიზი გრნობების მქონე.

ჩემთვის მნიშვნელოვან წლებში თუ რამ კარგი გავაკეთე, ეთერ ახვლედიანის გვერდში დგომას უნდა ვუმადლოდე... **ირაკლი ჯიჭურაშვილი**

***

ქალი გულმოდგინე, სამსახურში შეუდრეკელი, მომთხოვნი საკუთარი თავისადმი, ადამიანებისადმი ლმობიერი.

მწუხარება კი ერთი მიზეზით ქრება, გულში შრება წყარო ცრემლისა ღირსეული ადამიანის წასვლის გამო. **ევგენია (ჟენიკო) თუთისანი**

***

ქალბატონი ეთერის სახლი ჩვენში ასოცირდება, როგორც დიდად განათლებული, პრინციპული და კარგი ორგანიზატორი, კარგი მეოჯახე და კარგი შვილების აღმზრდელი.

**ჯემალ გელაშვილი**

***

ქართული პოეზია იყო მისი სულიერი საზრდო...

ადამიანებს შორის გულისხმიერების სანიმუშო მაგალითი იყო ქალბატონი ეთერი.

**გიორგი მეტრეველი**

***

... მასში მოჭარბებული იყო სითბო ოჯახის, მეგობრებისა და საერთოდაც ირგვლივ მყოფთათვის.

მან საუკეთესო შთამომავლობა დაგვიტოვა... **მალხაზ ჭყოიძე**

***

... ყველა მოხიბლული ვიყავით ეთოს უბრალოებით, მშვენიერებით, ზრდილობით. ადამიანის ყველა საუკეთესო თვისების მატარებელი იყო. **თინიკო ლაცაბიძე**

***

ეთერ ახვლედიანი დაუღალავი და ენერგიული მუშაკი იყო, ბავშვობიდან ძალიან ახლოს ვიყავი მასთან, იგი იყო ნებისმიერი ახალგაზრდული ორგანიზაციის სულის ჩამდგმელი. მას, ძირითადად, ზაფხულის არდადეგებზე, წაღვერის პიონერთა ბანაკის კულტურული მასობრივი მუშაობა ევალებოდა. მეც ხაშურის რკინიგზის ბავშთა სახლთან ახლო კონტაქტი მქონდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ახლობლობა და კოლეგიალობა გავაგრძელეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჩვენ ორივე ვცეკვავდით უნივერსიტეტის სახელმწიფო ანსამბლში, პროფესორ რომან ჭოხონელიძის ხელმძღვანელობით, ეთერის ბევრი როლები ჰქონდა და მთელ ანსამბლში გამოირჩეოდა.

სამწუხაროდ, შემდგომ წლებში, მისი კარიერა პარტიული კუთხით განვითარდა, თორემ მისგან დიდი მოცეკვავე და ხელოვანი დადგებოდა. თუმცა, სადაც იღვაწა, ძალიან დიდი კვალი დატოვა და დღევანდელი გადასახედიდან, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს რეგიონებს სწორედ მისნაირი ხელმძღვანელების დეფიციტი აქვს – მისნაირი განათლებულების, პროფესიონალების და ხალხთან ახლოს დგომების.

ვწუხვარ, რომ იგი დღეს ჩვენს გვერდით აღარაა. წმინდა ღვთისმშობელი ჰფარავდეს მარადიულ საუფლოში.

**ომარ ბარბაქაძე**

ფეხბურთი

# პატარა ივერიელები იმერეთის ჩემპიონები არიან

დღეს, გასაგები მიზეზების გამო, ბევრი ფიქრობს და წუხს, რომ ხაშურში დიდი ფეხბურთი კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა, თუმცა, არც ასეა საქმე. მართალია, ჩვენს "ივერიას" არ უდგას კარგი დღე და მხოლოდ მეოთხე ლიგაშია, მაგრამ, სამაგიეროდ, ისეთი თაობა მოდის, თუ ოდნავ მეტი ყურადღება და რაც მთავარია, მცირე დაფინანსებაც გამოჩნდა, ამ თაობას ნამდვილად შეუძლია გულშემატკივარისათვის ძველი სიხარულის დაბრუნება. საუბარი გვაქვს 2003-2004 წლებში დაბადებულ ჭაბუკებზე, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით, არავის უდებენ ტოლს და უფრო მეტიც, სრულიად გამორჩეულები არიან. მხოლოდ სტატისტიკაც კმარა ამის დასტურად. სულ 12 წლისანები იყვნენ ეს ბიჭები, როდესაც პირველ ტურნირში მიიღეს მონაწილეობა და აფხაზეთის ჩემპიონები გახდნენ (ეს ჩემპიონატი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ტარდება). ამის

მერე-2017 წელს-თბილისის ლიგა მოიგეს – 26 თამაშიდან 25 მოიგეს და მხოლოდ ერთი ფრე ითამაშეს. მაშინ, ეს შენი მოწონებული და რეკლამირებული საფეხბურთო აკადემიები თუ ცნობილი კლუბების (დინამო, ლოკომოტივი, საბურთალო) ახალგაზრდული ნაკრებები სულ პანტა-პუნტით მიმოყარეს და ჩემპიონებიც გახდნენ. დაჯერებაც კი უჭირდათ ამ აკადემიების მესვეურებს, რომ "ვიღაც" ხაშურმა ასეთი დღე აყარათ. ამ ტურნირის ფინალი იყო საინტერესო: ნორჩ დინამოელები ჯერ ხაშურში "ასიამოვნეს" სამი უპასუხო გოლით, რომელიც დინამოელებმა შემთხვევითობას მიაწერეს, მაგრამ როდესაც იქ, მშობლიურ კედლებშიც მოუგეს (2:1) ყველამ აღიარა ეს ბავშვები. და აი, მორიგი წარმატებაც: ერთი კვირის წინ, დასრულდა იმერეთის ჩემპიონატი მათ ასაკში, რომელიც პანდემიის გამო მხოლოდ ერთ წრედ ჩატარდა. ეს ჩემპიონატიც ამ ბიჭების სრული ტრიუმფით დასრულდა – მათ ყველა 9 შეხვედრა მოიგეს და კიდევ ერთხელ გააოცეს ყველა. მართლაც ბრავო მათ!

ცალკე უნდა აღინიშნოს ამ გუნდის მწვრთნელებზე. გიორგი ჩადუნელი ყველას ახსოვს როგორც შესანიშნავი ფეხბურთელი (სხვათაშორის, გიორგი პირველი ხაშურელი ფეხბურთელია, რომელმაც ევროპის ლიგაზე იასპარეზა). საბედნიეროდ, იგი სამწვრთნელო ამპლუაშიც დიდებულად ირჯება და შედეგიც სახეზეა. მის გვერდითაა ლევან ლომიძე - დაუღალავი და პროფესიონალი მწვრთნელი. ამ ტანდემის დიდი შრომაა ჩადებული ბავშვების აღზრდაში და თუ დღეს პატარა ივერიელები ასეთ წარმატებებს აღწევენ, ამაში უდიდესი დამსახურება სწორედ მათია.

აპრილის თვიდან ეს გუნდი ელიტლიგაში იასპარეზებს, სადაც 8 გუნდია ჩაბმული და ჩემპიონატი ოთხ წრედ გაიმართება. ეჭვიც კი არ გვინდა შევიტანოთ, რომ ეს ჭაბუკები აქაც ბევრს გააოცებენ. შემდეგ კი... აი, შედეგზე კი ყველამ - მერიამ, სპორტის სამსახურმა, გულშემატკივრებმა... ყველამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ბიჭები და ზოგადად, ეს თაობა არ დაიკარგოს და თუ მათ მხარდაჭერა ექნებათ, მჯერა, ჩვენი „ივერია" ისევ დაიბრუნებს ძველ ნიშას საქართველოს საფეხბურთო რუკაზე.

და ბოლოს, გვინდა გაგაცნოთ თითოეული მათგანი, ვინც ამ წარმატებების შემოქმედნი არიან: ლუკა ტაბატაძე, ლუკა გოგალაძე, ზაურ კაპანაძე, თემურ შათირიშვილი, ლუკა ბადრიაშვილი, უჩა ლომიძე, გიორგი მახარობლიძე, ნიკა ლურსმანაშვილი, გიორგი გელაშვილი, ზურაბ ზუმბაძე, ლევან ასანიძე, სანდრო ხაჩიძე, ბაჩო ლომსაძე, ლუკა ნოზაძე, ცეზარ დევიძე, ანზორ გაგნიძე, ვანო კვირიკაშვილი, ომარ ბალიანი, მიხეილ ტაბატაძე, ნიკა გოგალაძე.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ ამ გუნდს წარმატებას და გვჯერა, უფრო დიდი გამარჯვებები წინ არის!

გ. გოგოლაძე

მესამე გვერდზე გამოქვეყნებული სტატია საპირველაპრილო ხუმრობაა.

## დღის ფოტო

დიდი მადლობა ხაშურსა და სურამს, – ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი სოციალურ ქსელ „ტვიტერში" წერს.

კარლ ჰარცელი ხაშურსა და სურამში გადაღებულ ფოტოებს აქვეყნებს.

„დიდი მადლობა ხაშურსა და სურამს. ეს საქართველოში აღმოსაჩენი განსაკუთრებული ადგილია. შესანიშნავი ხედი სურამის ციხეზე, ჯანსაღი წყალი და გემრიელი ნაზუქი",– წერს კარლ ჰარცელი.

D

## ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულება

## ან ფიცი, როგორც ეთიკური ვალდებულება

პანდემიამ მოიცვა მსოფლიო, ყოველი დღე შიშით თენდება... მე ონკოლოგიური ავადმყოფი ვარ... ერთ საღამოს მაღალი ტემპერატურა დამიფიქსირდა, წნევა მერყეობს, მთელი სხეული მტკივა... ორი დღე ასე გავატარე. ალერგიის გამო წამლებსაც ვერ ვსვამ. გამოვიძახე სასწრაფო დახმარება. რამდენიმე წუთში აღმოვჩნდი ხაშურში საავადმყოფო "გორმედში", თერაპიულ განყოფილებაში.

კოვიდი არ დამიდასტურდა, მაგრამ, ჩემი დაავადებიდან გამომდინარე, კარგად ვერ ვიყავი. ჩამიტარდა მკურნალობა. ორი კვირის განმავლობაში ვიგრძენი გულითადი მოპყრობა მედპერსონალიდან.

"ფიცი ეს არის მოვალეობა, რომელიც ყველამ უნდა შეასრულოს" (ჰიპოკრატე). ამიტომ გამიჩნდა უდიდესი სურვილი უღრმესი მადლობა ვუძღვნა საავადმყოფოს მთავარ ექიმს ინგა მაისურაძეს, სასწრაფოს ექიმს ნინო ნოზაძეს. ისევ ჰიპოკრატე – "რომელ სახლშიც შევიდე ჩემი ვიზიტი იყოს მხოლოდ და მხოლოდ ავადმყოფის სასიკეთოდ".

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მოვალეობის დროსაც შეიძლება გადაუხადო მადლობა, ჩემი სამადლობელი მედდებს და სანიტრებს: თამუნა მაისაშვილს, ირინა დევაძეს, მაია შუბითიძეს, თამუნა გასიშვილს, ეკა ნადირაძეს, თიკო ფხალაძეს, თამუნა ქიტიაშილს. გიმრავლოთ მადლიერი პაციენტები...

ლალია ლაზარევა-ჭურდაძე
სურამი

## მადლი ჰქენი - ქვაზე დადეო...

ხშირად მესმის გამოთქმა: "სიკეთე გადამდებია", - მაგრამ ვერ ვხედავ ვინმეს გადასდებოდეს. ადამიანები ისე არიან თავისი ცხოვრებით, პრობლემებით, სიხარულითა თუ ტკივილით დაკავებულები, რომ სხვისი ტკივილისთვის ნაკლებად იცლიან. არადა, რამდენი ტკივილიანი ადამიანი ელოდება მადლს, შველას, გვერდზე დგომას...

ხაშურის ბაღში, ალბათ, ბევრს გინახავთ ჭაღარა კაცი. მის თვალებში უზარმაზარი სევდა იმალება. თუმცა, ის სათნო ღიმილით მოგესალმება, მოგიკითხავს, ბავშვებს ეფერება და ეთამაშება; არა და ორი ბიჭის დამკარგავს ალბათ ღამეები არ სძინავს...

დღეს ეს კაცი სიკვდილს ებრძვის. მიუხედავად უამრავი დაპირებებისა, მისთვის ვერავინ მოიცალა. ქალაქის მერიაში გაუბედავად შევედი, სრულიად შემთხვევით (ალბათ უფალს ასე სურდა) ლიფტის კარებთან ზვიად ქურდაძეს შევხვდი... სხაპასხუპით მივაყარე სათქმელი და გავჩერდი. "აუცილებლად დავეხმარებით," – მიპასუხა მან და თან ჩამომითვალა, რა საბუთები მჭირდებოდა.

მოლოდინმა ყველა რეკორდი მოხსნა! დააფინანსეს! გვერდზე დაუდგნენ! სიცოცხლე შეუნარჩუნეს!

ამდენი ლოდინის შემდეგ, ტყუილი დაპირებების შემდეგ, ამ ადამიანმა ჩუმად, უხმოდ უზარმაზარი სიკეთე გააკეთა. თქვა და შეასრულა. იმედი ჩამისახა გულში, რომ ჯერ კიდევ არიან ადამიანები, ვისაც სხვისი ტკივილი სტკივათ.

მადლობა იმედისთვის, მადლობა სიკეთისთვის, მადლობა კიდევ ერთი გადარჩენილი სიცოცხლისთვის – ზვიად ქურდაძეს.

მარიცა ბოგვერაძე

## ლია ცხოვრებაძის ხსოვნას

ჩვენო დიდო ტკივილო, ლია, გვიმძიმს შენს შესახებ წარსულში საუბარი.



რამოდენიმე ათეული წელი ჩვენს გვერდით იყავი, როგორც კარგი თანამშრომელი, მეგობარი, ღიმილითა და ხალისით სავსე.

მუდამ ვილოცებთ შენი ლამაზი სულისათვის, უფალს ვთხოვთ ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს, მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური ქალაქის მიწა.

გემშვიდობებით გულნატკენი და ცრემლიანები. მშვიდობით, ლია!

უღელტეხილის სალიანდაგო
სამმართველოს თანამშრომლები

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.